ვადები

სამოქალაქო
და
სამოქალაქო საპროცესო
კოდექსების მიხედვით

2016 წლის
8 ოქტომბრის მდგომარეობით

შემდგენელი: **სანდრო ჯორბენაძე**

მეხუთე გადამუშავებული გამოცემა

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მარიკა მაღალაშვილი

© სანდრო ჯორბენაძე, 2007

© საქართველოს უზენაესი სასამართლო 2016

ISBN 99940-0-441-7

ვადები
სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

ალიმენტის დავალიანების გადახდევინების ვადა წარსული დროისათვის – არა უმეტეს 3 წლისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდელად წარდგენამდე; მოვალის ძებნასთან დაკავშირებით სააღსრულებო ფურცლის მიხედვით ალიმენტის დაკავების შეუძლებლობისას – მთელი გასული პერიოდისათვის (მუხლი 1235).

ანაბრის უკან გამოთხოვის დრო ვადის განუსაზღვრელობისას – ნებისმიერ დროს (მუხლი 874).

ანდერძის ბათილობაზე სარჩელის წარდგენის ვადა – 2 წელი სამკვიდროს გახსნის დღიდან (მუხლი 1409).

არასრულწლოვანი პირის ქმედუნარიანობის ვადის ათვლა – 18 წლის ასაკამდე დაქორწინებიდან (მუხლი 12).

არასრულწლოვნის მიმართ მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის მიზნით არასრულწლოვნის მიერ სასამართლოსადმი მიმართვის ვადა – 14 წლის ასაკიდან (მუხლი 1198[1]).

აუქციონზე გადასახდელი თანხის გადახდის ვადა – ერთი კვირის განმავლობაში, ქონების შემძენის მიერ, სპეციალისტის სადეპოზიტო ანგარიშზე (მუხლი 306[5]).

აუქციონზე შეძენილ ქონებაზე უფლების გადაცემის გაუქმების ვადა – სპეციალისტის მიერ, თუ აუქციონის პირობებით განსაზღვრულ ვადაში მის სადეპოზიტო ანგარიშზე არ მიიღებს აუქციონზე ქონების შემძენის მიერ გადასახდელ თანხას (მუხლი 306[6]).

აუქციონის გაუქმების ვადა – აუქციონის შესახებ განცხადების შემტანი კრედიტორის მიერ მისი უკან გატანიდან (მუხლი 306[1]).

აუქციონის შეწყვეტის ვადა – აუქციონის ჩატარებამდე, მოვალე ან მესამე პირის (რომელიც უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი) მიერ, თუ გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად და ყველა ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხას (მუხლი 306[1]).

აუქციონის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ განცხადების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საჯაროდ გამოქვეყნების ვადა – აუქციონის ჩატარებამდე არანაკლებ 7 დღით ადრე სპეციალისტის მიერ (მუხლი 306[2]).

აუქციონის ჩატარების ვადა – კრედიტორის მიერ სპეციალისტთან განცხადების შეტანიდან ერთი თვის განმავლობაში (მუხლი 306[4]).

აქცეპტის განხორციელების ვადა – ოფერენტის მიერ განსაზღვრული ვადა (მუხლი 331).

აღნაგობიდან წარმოშობილი ანაზღაურების მოთხოვნის უფლების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო რეესტრში აღნაგობის უფლების ადგილის დაკავებისა და იმავე რიგით ჩანაცვლების ვადა – აღნაგობის უფლების შეწყვეტის შემდეგ (მუხლი 240).

აღნაგობის უფლების ვადა – მაქსიმუმ 99 წელი (მუხლი 233).

აღნაგობის უფლების მქონისთვის (სასყიდლიანი აღნაგობის შემთხვევაში) მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ ამ ნაკვეთზე აღმართული აღნაგობის ღირებულების ორი მესამედის ოდენობით ანაზღაურების მიცემის ვადა – სასყიდლიანი აღნაგობის უფლების ვადის გასვლის შემდეგ (თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული (მუხლი 239).

აღნაგობის უფლების მქონისთვის (სასყიდლიანი აღნაგობის შემთხვევაში) მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ ანაზღაურების გადახდის სანაცვლოდ აღნაგობის უფლების გაგრძელების ხანგრძლივობა – ამ ნაკვეთზე აღმართული ნაგებობის არსებობის სავარაუდო ვადით (მუხლი 239).

აღნაგობის უფლების საზღაურის გადახდის შუალედი – 10 წელი, რომელსაც განსაზღვრავენ (ან შემდგომში ცვლიან მხარეები (მუხლი 236).

აღნაგობის უფლების ცალმხრივად შეწყვეტის ვადა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ – ორი წლის განმავლობაში საზღაურის გადაუხდელობის გამო (მუხლი 236).

ბავშვის მამობის დადგენის ვადა თვით ბავშვის განცხადებით –

ბავშვის სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ სასამართლოს საშუალებით (მუხლი 1190).

ბავშვის სავარაუდო მამის მიერ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამის შესახებ ჩანაწერის სადავოდ გადხომის ვადა – 1 წელი აასეთი ჩანაწერის თაობაზე გაგების ან შესაძლო გაგების დროიდან (მუხლი 1190).

ბავშვობის პერიოდი – 16 წლამდე ასაკი (მუხლი 1305[7]).

ბენეფიციარის მიერ გარანტისადმი მოთხოვნის წარდგენის ვადა – გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა (მუხლი 885).

გადაზიდვიდან გამომდინარე უფლებების (განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას) დაცვის ხანდაზმულობის ვადა – 3 წელი. ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება: ტვირთის ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების ან ჩაბარების ვადის გადაცილებისას – მისი გამოგზავნის დღიდან; ტვირთის მთლიანად დაკარგვისას – გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის 30-ე დღიდან ან, თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, – გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან მე-60 დღეს; ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში – გადაზიდვის ხელშეკრულების დადების დღიდან 3 თვის გასვლის შემდეგ (მუხლი 699).

გადაზიდვიდან გამომდინარე უფლებების დაცვის ხანდაზმულობის ვადა – 1 წელი. ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება: ტვირთის ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების ან ჩაბარების ვადის გადაცილებისას – მისი გამოგზავნის დღიდან; ტვირთის მთლიანად დაკარგვისას – გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის 30-ე დღიდან ან, თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, – გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან მე-60 დღეს; ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში – გადაზიდვის ხელშეკრულების დადების დღიდან 3 თვის გასვლის შემდეგ (მუხლი 699).

გამოსყიდვის უფლების ხანდაზმულობა – არაუმეტეს 10 წელი. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია (მუხლი 514).

გამქირავებლის მიერ გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა – გაქირავებული ნივთის დაბრუნების მომენტიდან (მუხლი 573).

განქორწინების საქმეზე სასამართლოს მიერ მეუღლეების შესარიგებლად დანიშნული ვადა – არა უმეტეს 6 თვე (მუხლი 1127).

განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრების ქონების გაყოფის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა – 3 წელი (მუხლი 1171).

გარანტის მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის განხილვის ვადა – გონივრულ ვადაში (მუხლი 886).

გარდაცვლილად გამოცხადებული პირისათვის მისი ქონების რეალიზაციით მიღებული თანხის დაბრუნების ვადა – გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ (მუხლი 23).

გარდაცვლილი მემკვიდრის მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღების ვადა – სამკვიდროს მიღების ვადამდე დარჩენილი ხნის განმავლობში. თუ ეს დრო 3 თვეზე ნაკლებია, მაშინ იგი 3 თვემდე გრძელდება (მუხლი 1430).

გაშვილებასთან დაკავშირებით საკუთარ თანხმობაზე უარის თქმის ვადა – სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე მშობლის (მშობლების), მშვილებლისა და 10 წლის ასაკს მიღწეულ შვილად ასაყვანის მიერ (მუხლი 1256).

გირავნობის მოწმობის გაცემის ვადა – მოგირავნის წერილობითი მოთხოვნიდან ორი კვირის განმავლობაში, იმის შემდეგ, რაც არ დაკმაყოფილდა მისთვის გირავნობის საგნის მფლობელობაში გადაცემა (მუხლი 258[1]).

გირავნობის საგნის რეალიზაციის ან მისი საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლების მქონე მოგირავნისათვის გირავნობის საგნის მფლობელობაში გადაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილის ვადა – დაუყოვნებლივ. თუ დამგირავებელი 2 კვირის ვადაში არ ასრულებს მოგირავნის მოთხოვნას, მოგირავნე უფლებამოსილია, ეს მოქმედება დამგირავებლის სახელით განახორციელოს მესამე პირთა მიმართ (მუხლი 281).

გირავნობის საგნის რეალიზაციის შესახებ ანგარიშის წარდგენის ვადა – რეალიზაციის განმახორციელებელი მოგირავნის მიერ, რეალიზაციის განხორციელებიდან გონივრულ ვადაში (მუხლი 285[1]).

გირავნობის უფლებათა რიგითობის განსაზღვრის ვადა ერთი და იგივე ქონებაზე – მათი სარეგისტრაციოდ წარდგენის დროის შესაბამისად (მუხლი 267).

გირავნობის უფლების შეწყვეტის ვადა – იმ მოთხოვნის გაუქმებასთან ერთად, რომლის უზრუნველსაყოფადაც იგი არსებობდა; მოგირავნის მიერ გირავნობაზე რეგისტრაციის გზით უარის თქმიდან (რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში); მფლობელობის დამგირავებელზე დაბრუნების ან მოგირავნის მიერ გირავნობის უფლებაზე უარის თქმიდან (მფლობელობითი გირავნობის შემთხვევაში); გირავნობის საგნის მოგირავნის საკუთრებაში გადასვლიდან (კონსოლიდაციის შემთვევაში); გირავნობის საგნის არსებობის ფიზიკურად შეწყვეტიდან (მუხლები 270-273).

დაგირავებული საგნის მოსალოდნელი რეალიზაციის ვადა – მოგირავნის მიერ დამგირავებლის და სხვა მოგირავნის წერილობითი გაფრთხილებიდან 2 კვირის შემდეგ (მუხლი 282).

დაზღვევის დამთავრების დრო – ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის 24 საათზე (მუხლი 806).

დაზღვევის დაწყების დრო – ხელშეკრულების დადების დღის 24 საათზე (მუხლი 806).

დაზღვევის ხელშეკრულების (5 წელზე მეტი ვადიანი) მოშლა – მეორე მხარის გაფრთხილებიდან 3 თვის გასვლის შემდეგ (მუხლი 806).

დაზღვევის ხელშეკრულების მოშლის ვადა მზღვეველის მიერ არასწორი მონაცემების მიწოდების შემთხვევაში – 1 თვის განმავლობაში ამ მონაცემების შეტყობინებიდან (მუხლი 809).

დაკარგული ტვირთის გამოჩენის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირის მიერ ტვირთის მისთვის ჩაბარების მოთხოვნის ვადა – 30 დღე ტვირთის გამოჩენის შესახებ შეტყობინების მიღებიდან (მუხლი 689).

დაკარგული ტვირთის გამოჩენის შესახებ ტვირთზე უფლებამოსილი პირისათვის დაუყოვნებლივ შეტყობინების ვადა – 1 წელი ზიანის ანაზღაურებიდან (მუხლი 689).

დამატებითი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა – მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად (მუხლი 145).

დამზღვევის მიერ, სადაზღვევო შესატანის გადიდების გამო, ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა – 1 თვე მზღვეველისათვის შეტყობინების დღიდან (მუხლი 807).

დამქირავებლის მიერ გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით გამქირავებელზე პრეტენზიის წაყენების ხანდაზმულობის ვადა – 6 თვის განმავლობაში, ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან (მუხლი 573).

დამქირავებლის მიერ საცხოვრებელი სადგომის უზრუნველყოფის თანხის გადახდის ვადა – 3 თვის განმავლობაში, ყოველთვიური თანაბარი ნაწილების გზით (მუხლი 552).

დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა – 3 წელი, დაზარალებულის მიერ ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ შეტყობინებიდან (მუხლი 1008).

დღეებით განსაზღვრული ვადის დამთავრება – ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად (მუხლი 123).

ერთ-ერთი მეუღლის მიერ, მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე ბავშვის შვილად აყვანის ვადა – საქორწინო ურთიერთობის 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ფაქტობრივი შეწყვეტიდან (მუხლი 1247).

ექსკლუზიური დავალების შემცველი შეთანხმების მოშლის ვადა – 6 თვის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დროს (მუხლი 747).

ვადიანი თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა 5 წლის გასვლის შემდეგ – ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნიდან 3 თვის ვადაში (მუხლი 903).

ვადის დასაწყისად მოვლენის აღმნიშვნელი დროის გამოთვლა – მოვლენის დადგომის დღის მეორე დღიდან (მუხლი 122).

ვადის დასაწყისის დღის მონაკვეთით აღმნიშვნელი დროის გამოთვლა – ვადა აითვლება აღნიშნული დღის მეორე დღიდან (მუხლი 122).

თვეების ან წლების მიხედვით განსაზღვრული ვადის გამოთვლის დრო, თუ საჭირო არ არის მათი ერთად გასვლა – 30 დღით ან 365 დღით (მუხლი 126).

თვის დასაწყისი დრო – თვის პირველი დღე (მუხლი 126).

თვის დასრულების დრო – თვის ბოლო დღე (მუხლი 126).

თვის შუა დრო – თვის მეთხუთმეტე დღე (მუხლი 126).

თმენის ვალდებულებისათვის საზღვრის დამრღვევი მეზობლის მიერ ფულადი კომპენსაციის გადახდის ვადა – ყოველწლიურად წინასწარ (მუხლი 179).

იპოთეკის მოწმობის ფაქტობრივი მფლობელის კანონიერ მფლობელად ჩათვლის ვადა – საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე (მუხლი 289[3]).

იპოთეკის საფუძველზე არსებული მოთხოვნის გადაცემის ნამდვილად ჩათვლის ვადა – წერილობითი ფორმით დადებული იპოთეკის დადგენის შესახებ ან იპოთეკის მოწმობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გარიგების ახალ კრედიტორზე გადაცემისა და საჯარო რეესტრში მისი ახალ კრედიტორად რეგისტრირების (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაცემულია იპოთეკის მოწმობა) შემდეგ (მუხლი 295).

იპოთეკის წარმოშობის ვადა – საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (მუხლი 289).

იურიდიული პირის ვალდებულების შეწყვეტის ვადა – იურიდიული პირის ლიკვიდაციის დამთავრების რეგისტრაციის მომენტიდან (მუხლი 454).

იურიდიული პირის მიერ ზოგიერთი საქმიანობის განხორციელების დაწყების ვადა – მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის (ნებართვის) მიღების ან ავტორიზაციის გავლის მომენტიდან (მუხლი 25).

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის შეწყვეტის დრო – ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან (მუხლი 25).

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის წარმოშობის დრო – მისი რეგისტრაციის მომენტიდან (მუხლი 25).

იურიდიული პირის (არასამეწარმეო, არაკომერციული) და უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიერ სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ცვლილებების განხორციელებულად ჩათვლის ვადა – ამ ცვლილებების მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (მუხლი 31).

იურიდიული პირის (არასამეწარმეო, არაკომერციული) ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილების (გარკვეული პირობების შემთხვევაში) ვადა – სასამართლოს მიერ ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ (მუხლი 38).

იურიდიული პირის (არასამეწარმეო, არაკომერციული) მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების აკრძალვის ვადა – მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე (მუხლი 38).

იძულებით დადებული გარიგების შეცილების ვადა – 1 წელი იძულების დამთავრების მომენტიდან (მუხლი 89).

იჯარის (ათ წელზე მეტი ვადით დადებულის) ხელშეკრულების მოშლის ვადა – მხარეების მიერ 10 წლის გასვლიდან 3 თვის შემდეგ (მუხლი 582).

იჯარის ხელშეკრულების მოშლის ვადა მოიჯარის გარდაცვალების გამო – კალენდარული წლის დამთავრებიდან 6 თვის ვადაში, მოიჯარის მემკვიდრის ან მეიჯარის მიერ (მუხლი 590).

კანონის (კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების) ძალაში შესვლის დრო – ოფიციალურ ორგანოში საყოველთაო გაცნობისათვის გამოქვეყნების შემდეგ (მუხლი 3).

კანონის ძალის დაკარგვის დრო – ახალ კანონში პირდაპირ მითი-

თების, ძველი კანონის ახლის წინააღმდეგობის, ახალი კანონით ძველით მოწესრიგებული ურთიერთობის მოცვის, კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის აღარ არსებობის შემთხვევებში (მუხლი 3).

კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ნივთის დაბრუნებაზე უარის თქმის ვადა – მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე (მუხლი 163).

კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის ვადა – 3 წლის განმავლობაში (მუხლი 160).

კვარტალური ვადა – 3 თვე, რომელიც აითვლება წლის დასაწყისიდან (მუხლი 124).

კვირეებით, თვეებით ან რამდენიმე თვის შემცველი დროით (წლით, ნახევარი წლით, კვარტლით) განსაზღვრული ვადის დამთავრება – ბოლო კვირის ან ბოლო თვის შესაბამისი დღის დამთავრებისთანავე (მუხლი 123).

კონტოკორენტის ხელშეკრულების გაუქმება და ანგარიშის დახურვა – ნებისმიერ დროს, ეჭვის არსებობის შემთხვევაში (მუხლი 907).

კრედიტის გამცემის მიერ საბანკო კრედიტის (ნაწილ-ნაწილ დაბრუნების პირობით) ხელშეკრულების შეწყვეტა – კრედიტის ამღების მიერ კრედიტის ნაწილის, სულ ცოტა ორი ვადით გადახდის გადაცილებისას. შეწყვეტა ძალაში შედის ორკვირიანი დამატებითი ვადის შემდეგ გადაუხდელობის შემთხვევაში (მუხლი 873).

კრედიტორის მოქმედებაზე დამოკიდებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დაწყება – იმ დღიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება (მუხლი 131).

ლიზინგით გაცემული ქონების განმეორებით გაცემის ვადა (გარკვეული პირობების არსებობისას) – ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლიდან ან ვადაზე ადრე შეწყვეტიდან (მუხლი 576).

ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის იმ თავისი უფლებების დათმობის ვადა, რომელიც დაკავშირებულია მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნასთან – მოთხოვნისთანავე (მუხლი 577).

ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის სარგებლობაში განსაზღვრული ქონების გადაცემის ვადა – დგინდება ხელშეკრულებით (მუხლი 576).

ლიზინგის გამცემის მიერ ქონების მფლობელობაში ან განკარგვაში დაბრუნების ვადა – ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადაზე ადრე შეწყვეტის შემდეგ (მუხლი 580[6]).

ლიზინგის მიმღებზე ქონების დაღუპვის ან დაზიანების რისკის გადასვლის დრო – ქონების მიღების შემდეგ (მუხლი 580).

ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის გამცემისათვის ქონების დაბრუნების ვადა (გარკვეული პირობების შემთხვევაში) – ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადაზე ადრე შეწყვეტის შემდეგ (მუხლი 580[4]).

მამკვიდრებელთან ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტის ვადა კანონით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევისათვის – 3 წელი სამკვიდროს გახნამდე (მუხლი 1341).

მამკვიდრებლის კრედიტორის მიერ, სამკვიდრომიღებული მემკვიდრეების მიმართ მოთხოვნის წარდგენის ვადა – 6 თვე, კრედიტორის მიერ სამკვიდროს გახსნის თაობაზე შეტყობინების დღიდან; 1 წელი მოთხოვნის ვადის დადგომიდან, თუ კრედიტორმა არ იცოდა სამკვიდროს გახსნის შესახებ (მუხლი 1488).

მამობის დადგენა ბავშვის განცხადებით – იხ. ბავშვის მამობის დადგენის ვადა თვით ბავშვის განცხადებით.

მემკვიდრედ ყოფნის უფლების წარმოშობის დრო – ჩასახვისთანავე; განხორციელება კი დამოკიდებულია დაბადებაზე (მუხლი 11).

მემკვიდრის მიერ სამკვიდროს აღწერის მოთხოვნის ვადა – 2 თვე, რომელიც შედის სამკვიდროს მისაღებად დადგენილ საერთო ვადაში (მუხლი 1432).

მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებულად ჩათვლის ვადა – მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების შესახებ სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის შემდეგ ან თუ ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს მის მიერ სამკვიდროს მიღებას (მუხლი 1421).

მემკვიდრის წილში იმ ქონების ღირებულების ჩათვლის ვადა, რომელიც მამკვიდრებლისაგან საჩუქრის სახითაა მიღებული – სამკვიდროს გახსნამდე 5 წლის განმავლობაში (მუხლი 1455).

მეორე აუქციონის დანიშვნის ვადა – პირველი აუქციონის შემდეგ (თუ არ მოხდა შესაბამისი შეთავაზება) 10 დღის განმავლობაში (მუხლი 307).

მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი პირისაგან გარიგების დადებაზე თანხმობის მოთხოვნის ვადა – 2 კვირა მოთხოვნის დღიდან (მუხლი 111).

მესამე აუქციონის ჩატარების ვადა – მეორე აუქციონის შემდეგ (თუ მასზე არ მოხდა ნივთის გაყიდვა ან საკუთრებაში გადაცემა) 10 დღის ვადაში (მუხლი 307).

მეურვეობის შეწყვეტის დრო – სამეურვეო პირის გარდაცვალებიდან; არასრულწლოვანი სამეურვეო პირის: 7 წლის ასაკს მიღწევიდან ან 7 წლის ასაკს მიუღწეველის მშობლის უფლების და მოვალეობების აღდგენიდან (მუხლი 1302).

მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერის მიერ შესრულებაზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ ზედამხედველობის განხორციელების პერიოდულობა – თვეში ერთხელ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, აგრეთვე თავისი ინიციატივით (აუცილებლობიდან გამომდინარე) ნებისმიერ დროს (მუხლი 1305[2]).

მეუღლეთა შორის, მშობელსა და შვილებს, მეურვეებსა (მზრუნველებსა) და სამეურვეო პირებს შორის ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ვადა – ქორწინების პერიოდში, ბავშვების სრულწლოვანების დადგომადე; მეურვეობის მთელი პერიოდის მანძილზე (მუხლი 133).

მეუღლის თანხმობის გარეშე ბავშვის შვილად აყვანის ვადა – იხ. ერთ-ერთი მეუღლის მიერ, მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე ბავშვის შვილად აყვანის ვადა.

მზღვეველის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების მოშლის ვადა – 5 წელი ხელშეკრულების დადებიდან (მუხლი 845).

მზღვეველის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების მოშლის ვადა დამზღვევისაგან ინფორმაციის შეუტყობინებლობის გამო – 1 თვე მზღვეველის მიერ ინფორმაციის შეტყობინების მოვალეობის დარღვევის გაგების მომენტიდან (მუხლი 811).

მზღვეველის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების მოშლის ვადა საფრთხის გაზრდის გამო – 1 თვე; დამზღვევის მიერ საფრთხის განზრახ გამოწვევისას – დაუყოვნებლივ (მუხლი 813).

მზღვეველის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე დამზღვევის (სადაზღვევო შესატანის დამგვიანებლის) გაფრთხილების ვადა – 1 თვით ადრე ხელშეკრულების მოშლამდე (მუხლი 818).

მიბარებული ნივთის დაბრუნების ვადა – ნებისმიერ დროს (მუხლი 770).

მიბარებული ნივთის უკან წაღების ვადა – ნებისმიერ დროს (შენახვის ვადის განუსაზღვრელობის შემთხვევაში) (მუხლი 771).

მიბარებული საქონლის გაყიდვის ვადა შემნახველის მიერ – შენახვის ვადის გასვლის შემდეგ, დამატებითი 2 კვირიანი ვადის გასვლისთანავე (მუხლი 798).

მიბარებული საქონლის უკან წაღების მოთხოვნის ვადა – დაუშვებელია შეთანხმებული ვადის გასვლამდე; ჩაბარებიდან 3 თვის გასვლამდე, თუ ვადა დაუდგენელია (მუხლი 797).

მიღებული სამკვიდროს მემკვიდრის საკუთრებად ჩათვლის ვადა – მემკვიდრეობის გახსნის დღიდან (მუხლი 1433).

მიწის ნაკვეთის ან უფლების იჯარის უვადო ხელშეკრულების მოშლის ვადა – საიჯარო წლის ბოლოს (მუხლი 589).

მიწის ნაკვეთის ან უფლების იჯარის უვადო ხელშეკრულების მოშლის ვადის გაგრძელება – საიჯარო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს 1 თვე (მუხლი 589).

მიწის ნაკვეთის ქირავნობის (ერთ წელზე მეტი) ხელშეკრულების ვადა – თუ წერილობითი ფორმით არაა დადებული ივარაუდება განუსაზღვრელი ვადით (მუხლი 569).

მიწის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის დასაშვებობა – ქირავნობის პირველი წლის დამთავრების შემდეგ (მუხლი 569).

მოგზაურობის მომწყობის მიერ მოგზაურობის (პაკეტის) ღირებულების გაზრდის დაუშვებლობის ვადა – გამგზავრების დღემდე 20 დღის განმავლობაში. თუ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მნიშვნელოვნად შეიცვალა ხელშეკრულების არსებითი პირობები, მაშინ დაუყოვნებლივ უბრუნებს ტურისტს გდახდილ თანხას (მუხლები 657^3; 661).

მოგზაურობის მომწყობის მიერ ტურისტისათვის გარკვეული ინფორმაციის მიწოდების ვადა – მოგზაურობის დაწყებამდე გონივრულ ვადაში (მუხლი 657^2).

მოგირავნის ან მოგირავნის მიერ შესაბამისისად უფლებამოსილი პირის მფლობელობაში არსებული ნივთის მფლობელობითი გირავნობის წარმოშობის ვადა – მხარეთა შეთანხმების შემდეგ (მუხლი 257).

მოგირავნის მიერ გირავნობის უფლების შეწყვეტის რეგისტრაციის მიზნით საჯარო რეესტრისადმი ან შსს მომსახურების სააგენტოსადმი მიმართვის ვადა (თუ არ არსებობს დამგირავებლის მოთხოვნა გირავნობის უფლების შეწყვეტის დაუყოვნებელი რეგისტრაციის შესახებ) – გირავნობის უფლების შეწყვეტიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში (მუხლი 275).

მოთხოვნის წარმოშობის მომენტი – დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (მუხლი 130).

მოიჯარის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის საიჯარო ქირის შემცირების მოთხოვნის უფლების ვადა – მოსავლის აღებამდე – მხოლოდ ზარალის ოდენობისა და მიზეზების შესახებ გაფორმებული აქტის საფუძველზე (მუხლი 597).

მოტყუებით დადებული გარიგების სადავოდ გახდომის ვადა – 1 წლის განმავლობაში, იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონემ შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ (მუხლი 84).

მოქმედების შესრულებაზე ვალდებული პირის მიერ უარის

თქმის ვადა – ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ (მუხლი 144).

მოძრავი ნივთის უპატრონოდ ცნობის ვადის ათვლა – ნივთის მესაკუთრის მიერ, საკუთრებაზე უარის თქმის მიზნით, ნივთის მფლობელობის მიტოვებიდან (მუხლი 190).

მპოვნელის მიერ ნაპოვარზე საკუთრების შეძენის უფლების ვადა – განცხადების გაკეთებიდან 1 წლის შემდეგ, თუ დაკარგული ნივთის მისაღებად უფლებამოსილი პირი არ გამოჩნდება, არ არის ცნობილი მესაკუთრე ან მესაკუთრის უფლება ნივთზე პოლიციაში არ გაცხადებულა (მუხლი 191).

მშობლის უფლება-მოვალეობების შეჩერებულად ჩათვლის ვადა – მშობლის (მშობლების) მიერ საკუთარი ქმედებით ან უმოქმედობით გამოხატული ბავშვის (რომელიც განთავსებულია 24-საათიან სახელმწიფო ზრუნვაში) მიტოვებიდან შეჩერების საფუძვლების არსებობის ვადით (მუხლი 1205[1]).

მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენის ვადა – მხოლოდ მას შემდეგ, თუ აღმოჩნდება, რომ მშობლის უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევის საფუძველი აღარ არსებობს (მუხლი 1209).

მშობლის (შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოქმედებისას ან სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის მშობლისაგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების არსებობისას) უფლების (წარმომადგენლობითი) შეჩერების ვადა, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, ბავშვის საცხოვრებლის განსაზღვრის მიზნით – შემაკავებელი და დამცავი ორდერის ან ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილების მოქმედების ვადით (მუხლი 1205[1]).

მცირეწლოვნობის ვადა – 7 წლის ასაკამდე (მუხლი 12).

მხარდამჭერის დანიშვნის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის გაგზავნის ვადა – გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 3 დღე (მუხლი 1280).

მხარდამჭერის მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მისი მოვალეობების შესრულების შესახებ ინფორმაციის მიწო-

დების ვადა – არაუმეტეს 6 თვე (მუხლი 1289).

მხარდამჭერის მიერ მხარდაჭერის მიმღების სახელით, მისი ინტერესებიდან გამომდინარე სასამართლოს საშუალებით აუცილებელი გარიგების დადების ვადა – მხარდამჭერის მიერ მხარდაჭერის მიმღების ნების გამოვლენის 1 თვეზე მეტი ხნით ობიექტურად შეუძლებლობის შემთხვევაში, თუ ამით მნიშვნელოვანი ზიანი ადგება მხარდაჭერის მიმღებს (მუხლი 1293).

მხარდამჭერის უფლებამოსილების შეჩერების ვადა, მხარდაჭერის მიმღების მიერ მხარდამჭერის მოვალეობისაგან გათავისუფლების სურვილის შემთხვევაში – სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე (მუხლი 1301).

მხარდაჭერის მიმღების ან შეზღუდულქმედუნარიანი პირის (რომელსაც მხარდაჭერა არ გაწევია ან კანონიერი წარმომადგენელი არა ჰყავს) მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ვადა – პირის სრულ ქმედუნარიანად გახდომამდე ან კანონიერი წარმომადგენლის ან მხარდამჭერის დანიშვნამდე (მუხლი 134).

მხარდაჭერის შეწყვეტის ვადის ათვლა – მხარდაჭერის მიმღების გარდაცვალებიდან ან მხარდაჭერის დაწესების მიზეზის აღმოფხვრიდან (მუხლი 1304[1]).

მხარეების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების ვადა – ერთდროულად (მუხლი 354).

ნაპოვარის (გარდა ცხოველების, მალფუჭებადი ან ძვირად შესანახი ნივთების) აუქციონზე გაყიდვის, გასხვისების ან განადგურების ვადა – მპოვნელის მიერ ნაპოვარის საკუთრებაზე უარის თქმიდან 1 წლის შემდეგ კომპეტენტური ორგანოს მიერ (მუხლი 191).

ნაპოვნი ბავშვის (თუ ბავშვის, მშობლის (მშობლების) ვინაობა ან ადგილსამყოფელი უცნობია) მშობლის (მშობლების) უფლებებისა და მოვალეობების შეჩერების ვადა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე – ბავშვის ან მისი მშობლის (მშობლების) ვინაობის დადგენამდე და თავის ოჯახში დაუბრუნებამდე; ბავშვის მშობლის (მშობლების) ვინაობის დადგენამდე, რომელიც (რომლებიც) თავს არიდებს (არიდებენ) მშობლის მოვალეობების შესრულებას და უფლებების განხორციელებას და სასამართლო შეუზ-

ღუდავს ან ჩამოართმევს მას (მათ) მშობლის უფლება-მოვალეობებს ან აღიარებს ბავშვს მიტოვებულად; ბავშვის მიტოვებულად აღიარებამდე (მუხლი 1205[1]).

ნახევართვიანი ვადა – 15 დღე, რომელიც აითვლება შესაბამისი თვის დღეების რაოდენობის მიუხედავად (მუხლი 124).

ნახევარწლიანი ვადა – 6 თვე, რომელიც აითვლება წლის ყოველი დროიდან (მუხლი 124).

ნების გამოვლენის ნამდვილად არჩათვლის ვადა – მეორე მხარის მიერ წინასწარ ან მაშინვე უარის განცხადებისთანავე (მუხლი 51).

ნების გამოვლენის ნამდვილობის ვადა – იმ მომენტიდან, როცა ნება მეორე მხარეს მიუვა (მუხლი 51).

ნივთზე და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე დადებული გარიგების ძალაში შესვლის ვადა – გარიგებით განსაზღვრული უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (მუხლი 311[1]).

ნივთზე მფლობელობის შეწყვეტის ვადა – მფლობელის მიერ ნივთის სამუდამოდ დათმობის ან სხვა გზით ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის დაკარგვის დღიდან (მუხლი 156).

ნივთის ან უფლების ნაყოფის მიღების ვადა – ნივთზე ან უფლებაზე უფლებამოსილების ვადის და მოცულობის შესაბამისად (მუხლი 154).

ნივთის ლომბარდში დაგირავების ვადის ათვლა – მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებისა და ნივთის ლომბარდის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის შემდეგ (მუხლი 260).

ნოტარიუსის მიერ სამკვიდროს დაცვისათვის მიღებული ზომების ხანგრძლივობა – ყველა მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებამდე ან სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლამდე (მუხლი 1495).

პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან წარმოშობილი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა – 3 წელი (მუხლი 129).

პირის გარდაცვლილად გამოცხადების დღე – სასამართლოს გა-

დაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის ან პირის სავარაუდო დაღუპვის დღე (მუხლი 22).

პირის გარდაცვლილად გამოცხადების ვადა – 5 წლის განმავლობაში მის საცხოვრებელ ადგილას მისი ადგილსამყოფელის შესახებ ცნობის არქონის შემთხვევაში; 6 თვის განმავლობაში პირის შესახებ ცნობების მოუპოვებლობისას უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით მისი სავარაუდო დაღუპვისას (მუხლი 22).

პირის გარდაცვლილად გამოცხადების ვადა პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით – 2 წლის გასვლის შემდეგ საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან (მუხლი 22).

პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ვადა – 2 წლის მანძილზე პირის თავის საცხოვრებელ ადგილზე არ გამოჩენის და მისი ადგილსამყოფელის შესახებ ცნობის არქონის შემთხვავაში (მუხლი 21).

რეკლამაციის (წერილობითი) საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის შეჩერება – გადამზიდველის მიერ რეკლამაციის უარყოფის დღე (მუხლი 700).

საანდერძო დანაკისრის შესრულების მოთხოვნის ვადა – 3 წელი სამკვიდროს გახსნის დღიდან (მუხლი 1391).

საბანკო გარანტიის ძალაში შესვლის ვადა – გაცემის მომენტიდან (მუხლი 884).

საბანკო კრედიტის შეწყვეტის უფლების ვადა, თუ კრედიტის ამღები მომხმარებელია და კრედიტი არ არის უზრუნველყოფილი იპოთეკით – 6 თვის შემდეგ კრედიტის აღებიდან. შეწყვეტის ვადაა 3 თვე (მუხლი 871).

საბანკო კრედიტის შეწყვეტის ვადა მოვალის მიერ ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში – ნებისმიერ დროს, სესხის შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით (მუხლი 871).

საბანკო კრედიტის ხელშეკრულების (10 წლის გასვლის შემდეგ) შეწყვეტის უფლების ვადა – ნებისმიერ შემთხვევაში 6 თვე (მუხლი 871).

სადაზღვევო შესატანის დროულად არ გადახდის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ დანიშნული გადახდის დამატებითი ვადა – 2 კვირა; შეწყვეტის ვადა შეადგენს 3 თვეს (მუხლი 817).

საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის ხანდაზმულობა – ხანდაზმულობას არ ექვემდებარება (მუხლი 968).

საკუთრების პრეზუმფციის მოქმედების ვადა მოძრავი ნივთის ძველი მფლობელის სასარგებლოდ – მისი მფლობელობის პერიოდში (მუხლი 158).

სამეურვეო ბავშვის ასაკი – ბავშვის 7 წლის ასაკის მიღწევამდე (მუხლი 1276).

სამკვიდრო მოწმობის გაცემის ვადა მემკვიდრეებზე – 6 თვის შემდეგ სამკვიდროს გახსნის დღიდან. 6 თვემდე – თუ მოწმობის მთხოვნელ პირთა გარდა, სხვა მემკვიდრეები არ არიან (მუხლი 1500).

სამკვიდროდან საცხოვრებელი სახლის, ბინის, სადგომის ან საოჯახო მოხმარების საგნების მიღების უპირატესი უფლებისათვის მემკვიდრის მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრების ვადა – სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ ერთი წლის მანძილზე (მუხლი 1481).

სამკვიდროს გახსნის დრო – მამკვიდრებლის გარდაცვალების ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე (მუხლი 1320).

სამკვიდროს მისაღებად ადგილზე არმყოფი მემკვიდრის ადგილსამყოფელის დაუდგენლობის შემთხვევაში, დანარჩენი მემკვიდრეების მიერ ქონების გაყოფის ვადა – 6 თვე სამკვიდროს გახსნიდან (მუხლი 1479).

სამკვიდროს მისაღებად გამოუცხადებელი მემკვიდრისათვის სამკვიდროს გაყოფის შესახებ დანარჩენი მემკვიდრეების მიერ შეტყობინების გაგზავნის ვადა – 3 თვე (მუხლი 1479).

სამკვიდროს მიღებაზე ან მიღებაზე უარის თქმის შედავების ვადა – 2 თვე სათანადო საფუძვლების არსებობის შეტყობის დღიდან (მუხლი 1450).

სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ვადა – 3 თვე იმ დღიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი მოწვევის შესახებ სამკვიდროს მისაღებად (მუხლი 1434).

სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ვადის გაგრძელება – 2 თვით (მუხლი 1434).

სამკვიდროს მიღების ვადა – 6 თვე სამკვიდროს გახსნის დღიდან (მუხლი 1424).

სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება გარკვეულ შემთხვევებში – 3 თვით. ე.ი. სამკვიდროს მიღების მაქსიმალური ვადაა (6+3)=9 თვე სამკვიდროს გახსნის დღიდან (მუხლი 1425).

სამკვიდროს მიღების სამართლებრივი შედეგების დადგომის დრო – სამკვიდროს გახსნის მომენტიდან (მუხლი 1451).

სამომავლო ქონების მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გახდომის ვადა – ქონების შეძენისთანავე (მუხლი 254).

სამოქალაქო კოდექსის მოქმედება დროში – სამოქალაქო კოდექსი ვრცელდება მხოლოდ 1997 წლის 25 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე (მუხლი 1507).

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ვადა – 10 წელი (მუხლი 142).

სასამართლოს მიერ შვილის შესანახი სახსრების გადახდევინების შესახებ განჩინების გამოტანის ვადა – საქმის არსებითად განხილვამდე (მუხლი 1217).

სასამართლოს მიერ წესრიგის დარღვევისათვის სხდომის დარბაზში დამსწრე პირის დარბაზიდან გაძევების განკარგულების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (მუხლი 212).

სასამართლოში ბავშვის წარმომადგენელი მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეჩერების ვადა – სასამართლოში საქმის წარმოების განმავლობაში, დავის გადაწყვეტამდე სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში (მუხლი 1205[1]).

სასოფლო-სამეურნეო მიწის საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის ვადა – ვადის გასვლისთანავე (მუხლი 605).

სასოფლო-სამეურნეო მიწის უვადო საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა – საიჯარო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 დღე, მომდევნო საიჯარო წლისათვის იჯარის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე მეორე მხარისათვის მიმართვის დღიდან (მუხლი 606).

საქორწინო ასაკი – 18 წელი. 17 წელს მიღწეულის ქორწინება დაიშვება მისივე ნებით და სასამართლოს თანხმობით – ბავშვის დაბადების შემდეგ (მუხლები 1108; 1507[3]).

საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა – განქორწინებისას ან მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებისას (მუხლი 1180).

საქორწინო ხელშეკრულების ძალაში შესვლის ვადა – ქორწინების რეგისტრაციიდან (ქორწინებამდე დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში) ან დადებისთანავე (ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში) (მუხლი 1173).

საცილო გარიგების ბათილობის დრო – გარიგების დადების მომენტიდან (მუხლი 59).

საცილო გარიგების შეცილების ვადა – 1 თვე შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან (მუხლი 79).

სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნის ვადა – სიკვდილამდე (მუხლი 19).

სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა – 3 წელი (მუხლი 129).

სესხის სარგებლობისათვის დადგენილი პროცენტის გადახდის ვადა – ყოველი წლის გასვლის შემდეგ (მუხლი 626).

სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა – 3 თვე (მუხლი 626).

სრულწლოვნობის ვადა – 18 წლის ასაკიდან (მუხლი 12).

ტვირთზე უფლებამოსილი პირის მიერ ზიანის ანაზღაურებას-

თან ერთად მოთხოვნილი ზიანის ოდენობის წლიური ხუთი პროცენტის ათვლის ვადა – გადამზიდველის მიმართ რეკლამაციის (პრეტენზიის) წარდგენის ან სარჩელის შეტანის დღიდან (მუხლი 695).

ტვირთის გარეგნულად შესამჩნევი დანაკარგებისა და დაზიანების დროს რეკლამაციის (პრეტენზიის) წარდგენის ვადა – ტვირთის ჩაბარების დღესვე (მუხლი 698).

ტვირთის გარეგნულად შეუმჩნეველი დანაკარგებისა და დაზიანების დროს რეკლამაციის (პრეტენზიის) წარდგენის ვადა – 7 დღე ტვირთის ჩაბარებიდან (მუხლი 698).

ტვირთის დაკარგულად მიჩნევის ვადა – ტვირთის დანიშნულების ადგილზე არ მიტანის შემთხვევაში, გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლიდან 30 დღის ვადაში ან გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან 60 დღის შემდეგ (მუხლი 689).

ტვირთის მიმღების მიერ გარეგნულად შესამჩნევი აშკარა დანაკლისის ან დაზიანების მითითების ვადა – ტვირთის მიღებისთანავე (მუხლი 738).

ტვირთის მიმღების მიერ გარეგნულად შეუმჩნეველი აშკარა დანაკლისის ან დაზიანების მითითების ვადა – 3 დღე ტვირთის მიღების დღიდან (მუხლი 738).

ტურისტის მიერ მოგზაურობის ხარვეზის გამო მოგზაურობის მომწყობისადმი მოთხოვნების წარდგენის ვადა – 1 თვე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოგზაურობის ვადის გასვლის შემდეგ (მუხლი 663).

ტურისტის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმა – მოგზაურობის დაწყებამდე ნებისმიერ დროს (მუხლი 665).

ტურისტის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა – 6 თვე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოგზაურობის დამთავრების დღიდან (მუხლი 663).

უვადო თავდებობის ხელშეკრელუბის შეწყვეტის ვადა – თავდების მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნიდან 3 თვის ვადაში (მუხლი 903).

უზუფრუქტის გაუქმების ვადა – იმ ფიზიკური პირის გარდაცვალების ან იურიდიული პირის ლიკვიდაციის დღიდან, რომლის სასარგებლოდაც იყო უზუფრუქტი დადგენილი (მუხლი 244).

უზუფრუქტის მოქმედების ვადა – დროებით ან მისი მიმღების (უზუფრუქტუარის) სიცოცხლის ხანგრძლივობის მანძილზე (მუხლი 244).

უზუფრუქტუარის მიერ ნივთის გაქირავების ან იჯარით გადაცემის უფლების ნებართვის ვადა – მესაკუთრის თანხმობის შემდეგ (მუხლი 242).

უპირატესი უფლების განმხორციელებელი მემკვიდრეების მოთხოვნით, სასამართლოს მიერ კომპენსაციის გადავადების ვადა – კომპენსაციის მოცულობის გათვალისწინებით არა უმეტეს 10 წლის ვადით (მუხლი 1483).

უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ სარჩელის შეტანის ვადა – 5 წლის განმავლობაში ამ პირის მიერ სამკვიდროს ფლობის შედგომიდან (მუხლი 1317).

უცილოდ ბათილი (არარა) გარიგების ბათილობის დრო – გარიგების დადების მომენტიდან (მუხლი 61).

უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის ხანდაზმულობის ვადა – 15 წლის მანძილზე საჯარო რეესტრში რეგისტრაციის არსებობისა და ამ ხნის მანძილზე პირის მიერ უძრავი ნივთის, როგორც საკუთარის ფლობის შემთხვევაში (მუხლი 167).

უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნის ვადა – 6 წელი (მუხლი 129).

ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა – 30 წელი დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დადგომიდან (მუხლი 920).

ფიზიკური პირის გარდაცვალების მომენტი – თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა (მუხლი 11).

ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობის შეწყვეტის დრო – გარდაცვალებისას (მუხლი 11).

ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობის წარმოშობის დრო – დაბადების მომენტიდან (მუხლი 11).

ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის წარმოშობის დრო – სრულწლოვანების მიღწევისთანავე ან 18 წლის ასაკამდე დაქორწინების შემთხვევაში (მუხლი 12).

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების (10 წელზე მეტი ხანგრძლივობის) მოშლა – 10 წლის გასვლიდან ერთი წლის განმავლობაში. თუ მხარე არ იყენებს ამ უფლებას, ხელშეკრულება გრძელდება 2 წლით (მუხლი 612).

ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტის ვადა, ქირავნობის ხელშეკრულებაში ვადის არგანსაზღვრის შემთხვევაში – ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების მოშლაზე განცხადების გაკეთებიდან (მუხლი 559).

ქირავნობის ხელშეკრულების განახლება, დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ნივთით სარგებლობის გამო, დამქირავებლის არშადავების შემთხვევაში – განუსაზღვრელი ვადით (მუხლი 559).

ქირავნობის ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელების მოთხოვნის ვადა – 2 თვე ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტამდე (მუხლი 560).

ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ვადა – 3 თვე, იმ დღიდან, როცა მხარემ შეიტყო ან უნდა შეეტყო ხელშეკრულების მოშლის თაობაზე (მუხლი 561).

ქირის გადახდის ვადა – განსაზღვრული დროის მონაკვეთის გასვლის შემდეგ ან ქირავნობის ხელშეკრულების დამთავრებისას (მუხლი 553).

ქმედების შესრულების ახალი ვადით გაგრძელების ვადის გამოთვლა – გასული ვადის დამთავრებიდან (მუხლი 125).

ქმედუნარიანობის ვადა – 18 წლის ასაკიდან (მუხლი 12).

ქმრის მიერ ცოლის თანხმობის გარეშე განქორწინებაზე საქმის აღძვრის აკრძალვის ვადა – ცოლის ორსულობის დროს და

ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში (მუხლი 1123).

ქონების შემძენის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების გაქარწყლების ვადა – 1 თვე ქონების შეძენიდან მოშლის უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში ან სადაზღვევო ურთიერთობის შესახებ შეტყობინების მომენტიდან (მუხლი 835).

ქონების შემძენის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების მოშლის ვადა – ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისთანავე ან დაზღვევის მიმდინარე პერიოდის დამთავრებისათვის (მუხლი 835).

ქორწინების ბათილობის მომენტი – ქორწინების რეგისტრაციის დღიდან (მუხლი 1146).

ქორწინების შეწყვეტილად ჩათვლის ვადა ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების ან გარდაცვლილად გამოცხადების გამო – გარდაცვალების თარიღიდან ან სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული ზუსტი თარიღის ან გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან (მუხლი 1122[1]).

ქუჩაში, სახლის წინ ან მსგავს ადგილებში დადებული ხელშეკრულების ძალაში შესვლის ვადა – 1 კვირა მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების წერილობით არ უარყოფის შემთხვევაში (მუხლი 336).

შეზღუდული ქმედუნარიანობის ვადა – 7-დან 18 წლის ასაკამდე და ქმედუნარიანობაში არასრულწლოვანთან გათანაბრებული პირები (მუხლი 14).

შემკვეთის მიერ მენარდისათვის საზღაურის გადახდის ვადა – შესრულებული სამუშაოს მიღებისთანავე (მუხლი 649).

შემკვეთის მიერ შესრულების ნაკლის გამო მენარდისადმი მოთხოვნის წარდგენის ვადა – 1 წელი – მოძრავ ნივთზე; 5 წელი – უძრავ ნივთზე, შესრულებული სამუშაოს მთლიანად მიღების დღიდან (მუხლები 655-656).

შემნახველის მიერ სასაწყობო მოწმობის მფლობელისთვის დანიშნული დამატებითი ვადა – 2 კვირა, შენახვის ვადის გასვლის შემდეგ საწყობიდან საქონლის წაუღებლობის შემთხვევაში (მუხლი 798).

შემძენის კეთილსინდისიერების ფაქტის არსებობის ვადა – კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა არსებობდეს ნივთის გადაცემამდე (მუხლი 187).

შესრულების საგნის შენახვის ვადა სასამართლოს ან ნოტარიუსის მიერ – 3 წლამდე (მუხლი 441).

შვილად აყვანის ბათილობის მომენტი – სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან (მუხლი 1273).

შვილად აყვანის ნამდვილობის ძალაში შესვლის ვადა – სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან (მუხლი 1244).

შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების რეგისტრაციის იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურისათვის ცნობის ვადა – 5 დღე სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან (მუხლი 1244).

შვილის წარმოშობის დადგენის ვადა მამის გარდაცვალებისას – 10 თვე, ბავშვის დედასთან დაქორწინებული მამის გარდაცვალებიდან შვილის დაბადებამდე (მუხლი 1188).

შრომისუუნარო მეუღლის სარჩოს უფლების მიღების ვადა განქორწინების შემდეგ – განქორწინებამდე ან განქორწინების დღიდან 1 წლის განმავლობაში შრომისუუნარობის დადგომის შემთხვევაში (მუხლი 1183).

ჩასახული მემკვიდრის უფლების ვადა სამკვიდროს გაყოფისას – დაბადების შემდეგ (მუხლი 1465).

ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების ვადა – 1 წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა მჩუქებელს წარმოეშობა ჩუქების გაუქმების საფუძველი (მუხლი 529).

ჩუქების ხელშეკრულების დადების ვადის ათვლა – მოძრავ ნივთზე – ჩუქების საგნის გადაცემის მომენტიდან. უძრავ ნივთზე – ხელშეკრულებით განსაზღვრული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (მუხლი 525).

ცოლის მიერ ქმრისაგან სარჩოს მიღებაზე მოთხოვნის უფლების ვადა – ცოლის ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან 3 წლის განმავლობაში (მუხლი 1182).

წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა – 3 წელი იმ მომენტიდან, როცა ზიანის ანაზღაურების მქონემ გაიგო ან უნდა გაეგო ზიანის, ნაკლის ანდა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ (მუხლი 1015).

წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გაქარწყლების ვადა – მწარმოებლის მიერ ზიანის გამომწვევი პროდუქტის სარეალიზაციოდ გატანიდან 10 წლის შემდეგ (მუხლი 1015).

ხანდაზმულობის ვადის დაწყება – მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან (მუხლი 130).

ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების თავიდან ათვლის დრო – ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის დღიდან (მუხლი 141).

ხანდაზმულობის ვადის დენის უწყვეტობა – მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმისას ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელის განუხილველად დატოვებისას. 6 თვეში ახალი სარჩელის შეტანა იწვევს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას პირველი სარჩელის შეტანის დროიდან (მუხლი 140).

ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ვადა – მორატორიუმით; აუცდენელი დაუძლეველი ძალით; კრედიტორის ან მოვალის საომარ მდგომარეობაში გადაყვანილ შეიარაღებულ ძალებში ყოფნისას, იმ შემთხვევაში თუ ეს გარემოებები წარმოიშვა ან გრძელდებოდა ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი 6 თვის ფარგლებში, თუ ეს ვადა 6 თვეზე ნაკლებია – ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში; მეუღლეთა შორის მოთხოვნებზე – ქორწინების განმავლობაში; მშობლებსა და შვილებს შორის მოთხოვნებზე – ბავშვის სრულწლოვანების დადგომამდე; მეურვეებსა (მზრუნველებსა) და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე – მეურვეობის მთელი პერიოდის მანძილზე; შეზღუდულქმედუნარიანის და მხარდაჭერის მიმღების მონაწილეობისას – პირის სრულ ქმედუნარიანად გახდომამდე ან მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მხარდამჭერის დანიშვნამდე (მუხლები 132-134; 136).

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ვადა – ვალდებული (უფლებამოსილი) პირის მიერ მოთხოვნის არსებობის აღიარებისას ან სასამართლოში სარჩელის შეტანისას (მუხლები 137-138).

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ხანგრძლივობა – სასამართლოში სარჩელის შეტანისას – სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე; მხარეთა შეთანხმების ან შემდგომი გაგრძელების შეუძლებლობის გამო პროცესის შეწყვეტისას – მხარეთა ან სასამართლოს ბოლო საპროცესო მოქმედების დამთავრებასთან ერთად (მუხლი 139).

ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი (მუხლი 128).

ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა – გამსვლელ პირს უწესებს მეორე მხარე გონივრულ ფარგლებში, თუ ასეთი ვადა ხელშეკრულებაში დადგენილი არ არის (მუხლი 356).

ვადები
სამოქალაქო საპროცესო
კოდექსის მიხედვით

ადგილზე დათვალიერების შესახებ გამოტანილი განჩინების გასაჩივრების ვადა – არ დაიშვება (მუხლი 121).

ადგილზე დათვალიერებისათვის სპეციალისტის მოწვევის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – არ დაიშვება (მუხლი 123).

არაადვოკატი პირის წარმომადგენლად დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 97).

არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – გადაწყვეტილების ოფიციალური გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში (მუხლი 351^{9}).

არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე განმცხადებლის მიერ შუამდგომლობის დაყენების ვადა – სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს 48 საათში (მუხლები 351^{10}; 351^{14}).

არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების ვადა – დაჩქარებული წესით, საქმის წარმოებაში მიღებიდან 6 კვირის განმავლობაში (მუხლი 351^{14}).

არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დასაბრუნებლად სასამართლოში სარჩელის წარდგენის ვადა – ა) ბავშვის არამართლზომიერად გადაადგილების ან არამართლზომიერად დაკავების თარიღიდან სარ-

ჩელის წარდგენის მომენტამდე გასულია 1 წელზე ნაკლები; ბ) ბავშვის არამართლზომიერი გადაადგილების ან არამართლზომიერი დაკავების თარიღიდან სარჩელის წარდგენის მომენტამდე გასულია 1 წელზე მეტი და თვალნათლივ არ იქნა ნაჩვენები, რომ ბავშვი ინტეგრირებულია თავის ახალ გარემოში (მუხლი 351[15]).

არასრულწლოვნის მიერ სასამართლოსადმი მიმართვის ვადა – 14 წლის ასაკიდან (მუხლი 81[1]).

არასრულწლოვნის (17 წელს მიღწეულის) ქორწინების თაობაზე (თანხმობის მიცემის ან მასზე უარის თქმაზე) სასამართლო გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა – 14 დღე დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან (მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრამდე) (მუხლი 452).

არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (მუხლი 356[16]).

არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ სასამართლოს მიერ დასაბუთებული განჩინების გამოტანის ვადა – 14 დღე მხარის მიერ განცხადების წარმოებაში მიღებიდან (მუხლი 356[16]).

არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანის ვადა – მხარის მიერ განცხადების წარმოებაში მიღებიდან 10 დღე. იგი არ საჩივრდება (მუხლი 356[17]).

არბიტრაჟში საქმის განხილის შეჩერების ვადა არბიტრის აცილების ან/და უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის განხილვამდე – არ ჩერდება (მუხლი 356[15]).

არბიტრაჟში საქმის განხილვის შეჩერების ვადა არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ საკითხის განხილვამდე – არ ჩერდება (მუხლი 356[16]).

არბიტრაჟთან დაკავშირებულ საქმეებზე მტკიცებულებათა მოპოვებასა და მოწმის დასწრების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (მუხლი 356[19]).

არბიტრის აცილების ან/და უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის ვადა – მხარის მიერ განცხადების წარმოებაში მიღების დღიდან 14 დღე (მუხლი 356[15]).

არბიტრის დანიშვნის ვადა სასამართლოს მიერ – მხარის განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღე (მუხლი 356[15]).

არბიტრის დანიშვნის, აცილებისა და უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (მუხლი 356[15]).

აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დადგენის მიზნით დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის დანიშვნის ვადა – სასამართლოს მიერ, განცხადების მიღებიდან 7 დღე (მუხლი 309[12]).

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების სასამართლოს მიერ მიღების ვადა – 3 დღე განცხადების შეტანიდან (მუხლი 309[11]).

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ მყიდველის განცხადების ვადა – 1 თვის შემდეგ აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან (მუხლი 309[9]).

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლოს მიერ განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა – არა უგვიანეს 1 თვე განცხადების მიღებიდან. გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა: საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს 14 დღე; სააპელაციო წესით საქმის განხილვის ვადა – 1 თვე (მუხლები 309[13]; 309[15]).

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლოს მიერ განცხადების მიღებაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 309[11]).

ბავშვის პიროვნების ან/და ქონების დასაცავად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიმართვის სასამართლოში განხილვის ვადა – სასამართლოში საქმის წარმოებაში მიღებიდან არა უგვიანეს 6 კვირა (მუხლი 351[20]).

ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ვადა – 1 თვე იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა (მუხლი 426).

ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ვადა – 5 წელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან, ხოლო, თუ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს – ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 თვე, ხოლო თუ არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი გადაწყვეტილება ამ დარღვევას ეფუძნება – შესაბამისი კომიტეტის გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვე (მუხლი 426).

გადაცილებული საპროცესო ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 68).

გადაწყვეტილების განმარტებაზე განცხადების შეტანის ვადა – გადაწყვეტილების აღსრულებამდე და არ არის გასული გადაწყვეტილების აღსრულების ვადა ან არ არის გასული 10 წელი მისი კანონერ ძალაში შესვლიდან. განცხადებას სასამართლო განიხილავს შეტანიდან 1 თვის ვადაში (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 142; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 262).

გადაწყვეტილების განმარტებაზე სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 262).

გადაწყვეტილების განმარტებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (მუხლი 262).

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების დრო – საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ. არსებითად რთული გადასაწყვეტი საქმის შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია, გადადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვით (მუხლი 257).

განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – 14 დღე – სააპელაციო ან 1 თვე – საკასაციო წესით (მუხლები 366; 392).

განსაკუთრებით რთული კატეგორიის სამოქალაქო საქმეების სასამართლო განხილვის ვადა – იხ. სამოქალაქო საქმეების (განსაკუთრებით რთული კატეგორიის) სასამართლო განხილვის ვადა.

განჩინების ასლების გადაგზავნის ვადა იმ მხარეებისათვის, რომლებიც არ ესწრებიან განჩინების გამოცხადებას – არა უგვიანეს 5 დღე (მუხლი 286).

განჩინების (სათათბირო ოთახში გაუსვლელად – ადგილზე თათბირით) გამოცხადების ვადა – მიღებისთანავე (მუხლი 284).

განჩინების (სათათბირო ოთახში მიღებით) სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების ვადა – თათბირის შემდეგ (მუხლი 284).

გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანის ვადა – იხ. მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანის ვადა.

დავალიანების გადახდის ბრძანების გაპროტესტების (მოტივირებული შესაგებელი) ვადა – 10 დღე მოპასუხისათვის გადახდის ბრძანების მიღებიდან ან შემდეგ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში (მუხლი 307).

დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენაზე უარის თქმის სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 330).

დაკარგული საბუთის ხელთმქონე პირის მიერ საბუთზე თავისი უფლებების შესახებ სასამართლოში განცხადების შეტანის ვადა – 3 თვე სასამართლოს მიერ ადგილობრივ გაზეთში პუბლიკაციის დღიდან (მუხლი 332).

დაკარგული საქმის წარმოების აღდგენაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 351[6]).

დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 351[5]).

დაკარგული საწარმდგენო ან საორდერო ფასიანი ქაღალდის ბათილად ცნობის სასამართლო განხილვის დღე – 3 თვის შემდეგ სასამართლოს მიერ ადგილობრივ გაზეთში პუბლიკაციის დღიდან (მუხლი 334).

დაკითხული მოწმის სასამართლო სხდომის დარბაზში დარჩენის ვადა – საქმის განხილვის დამთავრებამდე (მუხლი 148).

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 261).

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის დასმის ვადა – 7 დღის განმავლობაში გადაწყვეტილების გამოცხადებიდან (მუხლი 261).

დამატებითი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – 1 თვე (საапელაციო ან საკასაციო წესით) (მუხლები 261; 372).

დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტი – დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე ან 259[1] მუხლების შესაბამისად (მუხლი 369).

დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის ვადა – სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღე; საკასაციო სასამართლოსათვის – 1 თვე (მუხლი 257).

დასაბუთებული განჩინების მხარეთათვის გადაცემის ვადა –

განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის მანძილზე (მუხლი 284).

დაუმთავრებელი საპროცესო ვადის შეჩერება – იმ გარემოებათა წარმოშობის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოების შეჩერებას (მუხლი 62).

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრის მიღების დაუშვებლობის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 239).

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის გაგზავნის ვადა – გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში (მუხლი 235).

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – 10 დღე დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში (მუხლი 237).

დაუსწრებელი გადაწყვეტილების სააპელაციო ან საკასაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობა იმ მხარის მიერ, რომლის წინააღმდეგაცაა გამოტანილი – არ დაიშვება (მუხლი 366; 392).

დაუყოვნებლივ აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (მუხლი 270).

დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 270).

დედანი საბუთების დაბრუნების ვადა – სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ (მუხლი 133).

დისკრიმინაციასთან დაკავშირებით სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის ვადა – 3 თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია (მუხლი 363^{2}).

დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავაზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დასაშვებობის შემოწმების ვადა – 3 დღე სააპელაციო საჩივრის შეტანიდან (მუხლი 363^{6}).

დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ სარჩელზე მოპასუხის შესაგებლის წარდგენის ვადა – 10 დღე (მუხლი 363[4]).

დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ სარჩელზე ხარვეზის აღმოსაფხვრელად სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა – გონივრული ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს 3 დღეზე ნაკლები (მუხლი 363[4]).

დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავის სააპელაციოსაჩივრის განხილვის ვადა – 1 თვე სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებიდან (მუხლი 363[6]).

დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრების ვადა – კერძო საჩივრით, მოსარჩელისათვის მისი გაცნობიდან 3 დღის ვადაში (მუხლი 363[4]).

დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელის წარმოებაში მიღების ვადა – 3 დღე სარჩელის შეტანის დღიდან (მუხლი 363[4]).

დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის გაგზავნის ვადა – დაუყოვნებლივ (მუხლი 363[4]).

დროებითი მხარდამჭერის განცხადების სასამართლოს მიერ განიხილვის ვადა – განცხადების შეტანიდან 5 დღე ზეპირი მოსმენით (მუხლი 363[17]).

დროებითი მხარდამჭერის დანიშვნის ვადა – საქმის წარმოების დასრულებამდე, სასამართლოს მიერ – განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე (მუხლი 363[17]).

დროებითი მხარდაჭერის დაწესებაზე სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო კაჩივრით) (მუხლი 363[17]).

დღეებით, თვეებით და წლებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დამთავრება – ამ დღის მომდევნო სამუშაო დღე, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს (მუხლი 61).

ექსპერტის დასკვნის წარდგენის ვადა – ინიშნება სასამართლოს მიერ (მუხლი 162).

ექსპერტის მიერ, ექსპერტიზისათვის გამოყენებული ყველა მასალის და დოკუმენტის სასამართლოსათვის დაბრუნების ვადა – ექსპერტიზის დასრულებისთანავე ან როცა ამას სასამართლო მოითხოვს, ან თუ არ ტარდება ექსპერტიზა (მუხლი 174).

ექსპერტისადმი მოსამართლის მიერ კითხვის დასმის დრო – დაკითხვის ნებისმიერი მომენტი (მუხლი 171).

ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების შესახებ სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ვადა – 2 თვე განცხადების მიღებიდან. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს სასამართლოს მიერ არაუმეტეს 1 თვით (მუხლი 59).

ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე მოპასუხისათვის შესაგებლის წარდგენის ვადა – არა უმეტეს 7 დღე (მუხლი 309[19]).

ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე ხარვეზის შევსების ვადა – 5 დღე განჩინების ჩაბარებიდან (მუხლი 309[19]).

ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის ვადა – 1 თვე სარჩელის წარმოებაში მიღების დღიდან (მუხლი 309[20]).

ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 309[19]).

ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – 7 დღე (მუხლი 309[21]).

ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლოს მიერ სარჩელის მიღების საკითხის განხილვის ვადა – სარჩელის შეტანიდან 3 დღე (მუხლი 309[19]).

ზიანის ანაზღაურების შესახებ წარმოებაში მიღებულ სარჩელზე შესაგებლის წარდგენის ვადა – არაუმეტეს 7 დღე (მუხლი 309[19]).

თამასუქის თაობაზე აღძრულ სარჩელზე შეგებებული სარჩელის აღძვრის ვადა – დაუშვებელია (მუხლი 298).

თამასუქსა და ჩეკთან დაკავშირებულ სასამართლო დავებზე უწყების ჩაბარების ვადა – არანაკლებ 24 საათი სასამართლო სხდო-

მის დაწყებამდე, თუ უწყება ბარდება სასამართლოს ადგილსამყოფლის მიხედვით; მინიმუმ 3 დღე, თუ უწყება ბარდება სხვა ადგილზე (მუხლი 295).

თვეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დამთავრება – ვადის უკანასკნელი თვის შესაბამის თვესა და რიცხვში; თუ თვეებით გამოსათვლელი ვადის უკანასკნელ თვეს სათანადო რიცხვი არ არის, მაშინ ამ თვის უკანასკნელ დღეს (მუხლი 61).

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე სასამართლოში საჩივრის შეტანის ვადა – მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 დღე (მუხლი 316[1]).

კანონით დაუდგენელი საპროცესო ვადა – განსაზღვრავს სასამართლო (მუხლი 59).

კერძო საჩივრის (განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე) განხილვის ვადა ზემდგომ სასამართლოში – სასამართლოში საჩივრის განსახილველად მიღების დღიდან არა უმეტეს 5 თვე (მუხლი 420).

კერძო საჩივრის ზემდგომ სასამართლოში განხილვის ვადა – სასამართლოში საჩივრის განსახილველად მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვე (მუხლი 420).

კერძო საჩივრის (ალიმენტის გადახდევინებაზე, დასახიჩრებაზე ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებაზე, მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებზე) ზემდგომ სასამართლოში განხილვის ვადა – არაუგვიანეს 1 თვე სასამართლოში საჩივრის განსახილველად მიღების დღიდან (მუხლი 420).

კერძო საჩივრის თაობაზე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანის ვადა – 2 თვე კერძო საჩივრის მიღებიდან (მუხლი 419).

კერძო საჩივრის თაობაზე ზემდგომი სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (მუხლი 419).

კერძო საჩივრის შეტანის ვადა – 12 დღე განჩინების გადაცემის

მომენტიდან, ხოლო თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი – სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადების მომენტიდან. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად (მუხლი 416).

ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნებაზე განცხადების განუხილველად დატოვებისა და განმცხადებლისათვის დაბრუნების შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 309[4]).

ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების განხილვის ვადა – 3 დღე განცხადების სასამართლო წარმოებაში მიღების დღიდან (მუხლი 309[2]).

ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების მიღებაზე უარის თქმის სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 309[4]).

ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო ბრძანების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 309[7]).

მარწმუნებლის მიერ წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნის ვადა – საქმის წარმოების ყველა სტადიაზე (მუხლი 99).

მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – 14 დღე (აპელაციის წესით) (მუხლი 242).

მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მოტივირებული განცხადებით მიმართვის ვადა (წერილობითი ან ზეპირი) – სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე (მუხლი 90).

მესამე პირის მიერ დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნით სარჩელის აღძვრის ვადა – მხარეთა პაექრობის დაწყებამდე (მუხლი 88).

მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრება – გადაწყვეტილებასთან ერთად (მუხლი 90).

მოპასუხის მიერ თავისი პასუხის (შესაგებლის) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე სარჩელზე დართულ დოკუმენტებზე მოსაზრებების წარდგენის ვადა – სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრული პერიოდი (მუხლი 201).

მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენის ვადა – არა უმეტეს 14 დღე; რთული კატეგორიის საქმეებზე არა უმეტეს 21 დღე. ამ ვადების გაგრძელება არ შეიძლება, გარდა საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევისა (მუხლი 201).

მოსამართლის (შემადგენლობის) აცილების განჩინების გასაჩივრება – სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად (მუხლი 36).

მოსამართლის მიერ მოწმისადმი კითხვის დასმის დრო – დაკითხვის ნებისმიერი მომენტი (მუხლი 148).

მოსამზადებელი სხდომის ან მხარეთა სატელეფონო გასაუბრების ან ვიდეოკონფერენციის დანიშვნის ვადა – მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღე, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობება მხარეებს (მუხლი 205).

მოსარჩელის მიერ მოპასუხის წერილობით პასუხზე (შესაგებელზე) დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის ვადა – შესაგებლის მიღებიდან 5 დღე (მუხლი 449).

მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარების ვადა – მისთვის გზავნილის გადაცემიდან 2 თვე, ფოსტის სასამართლო კურიერის, ელექტრონული ფოსტის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა წესის მეშვეობით (მუხლი 184).

მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელის აღძვრის ვადა, პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად – მოპასუხისათვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე (ამ ვადის საპატიოდ გაშვების შემთხვევაში – სასამართლო პაექრობის დაწყებამდე) (მუხლი 188).

მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანის ვადა – მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 დღე (მუხლი 321[1]).

მტკიცებულებათა მიუღებლობის, მათ გამოთხოვაზე უარის თქმის ან საქმიდან მათი ამოღების შესახებ სასამართლოს განჩინების ცალკე გასაჩივრების შესაძლებლობა – არ საჩივრდება. (მუხლი 104).

მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობა – სასამართლოს მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტისას (მუხლი 118).

მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 119).

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (მუხლი 119).

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოსათვის ზეპირი განცხადების წარდგენის შესაძლებლობა – საქმის განხილვის დროს (მუხლი 111).

მხარეებთან სატელეფონო გასაუბრების დანიშვნის ვადა – მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღე, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობება მხარეებს (მუხლი 205).

მხარეების მიერ სასამართლოსგან დამოუკიდებლად ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის სასამართლოში წარდგენის ვადა – სასამართლოში საქმის აღძვრის ან საქმის მომზადების სტადიაზე; მთავარ სხდომაზე – მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომზადების სტადიაზე ექსპერტის დასკვნის წარდგენის საჭიროება ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი ან რაიმე საპატიო მიზეზით (მუხლი 162).

მხარეთა პაექრობის დაწყების ვადა – სასამართლო საქმის გამოკვლევის დამთავრებულად გამოცხადების მომენტიდან (მუხლი 226).

ნივთიერ მტკიცებულებათა შემოწმების მიზნით, მხარის მიერ ექსპერტიზის დასკვნების წარდგენის შესახებ სასამართლოზე შუამდგომლობის დაყენების ვადა – საქმის მომზადების სტადიაზე. შემდგომ სტადიაზე – თუ სასამართლო მიიჩნევს საქმის მომზადების სტადიაზე შუამდგომლობის არ წარდგენას საპატიოდ (მუხლი 158).

ნივთიერი მტკიცებულებების სასამართლოსათვის წარდგენის ვადა – ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში. ამ ვადის საპატიო მიზეზით დარღვევის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია პირებს განუსაზღვროს დამატებითი ვადა (მუხლი 156).

ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე პირის მიმართ სარჩელის აღძვრის ვადა – პროკურორისს მიერ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებული პირის მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ექვსი თვის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება აღნიშნული პირის მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება (მუხლი 356[9]).

პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ საოლქო სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ვადა – 1 თვე (საკასაციო წესით) (მუხლი 392).

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის ვადა – გამოცხადებისთანავე: თუ დაუშვებელია სააპელაციო წესით გასაჩივრება; სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული; სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა; თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობით განაცხადებენ უარს სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე (მუხლი 264).

პირის მხარდაჭერის მიმღებად სასამართლოში წარდგენილი განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 363[16]).

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადების სასამართლოში განიხილვის ვადა – განცხადების შეტანიდან 5 დღე (მუხლი 363[16]).

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს მიერ დასაშვებობის შემოწმების ვადა – სააპელაციო საჩივრის შეტანიდან 5 დღე (მუხლი 363[24]).

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადა – განსახილველად მიღებიდან 2 თვე, ზეპირი მოსმენით(მუხლი 363[24]).

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 363[24]).

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ სასამართლოში წარდგენილ განცხადებაზე დანიშნული ხარვეზის შევსების ვადა – გონივრული ვადა, მაგრამ არანაკლებ 3 დღე (მუხლი 363[16]).

პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის საქმეზე არ გამოცხადებულ მხარისათვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის გაგზავნის ვადა – 5 დღე გადაწყვეტილების გამოტანიდან (მუხლი 356[11]).

პირის სხდომის დარბაზიდან გაძევების ხანგრძლივობა – იმავე ინსტანციის სასამართლოში ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო განხილვის დასრულებამდე (მუხლი 212).

პროცესის ჩაშლისაკენ მიმართული, სასამართლოს (მოსამართლის), პროცესის მონაწილის ან მხარის მიმართ აშკარა ან/და უხეში უპატივცემულობით გამოხატული ქმედებისათვის პირის დაპატიმრების ვადა – 30 დღე-ღამემდე ვადით, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) მიმართვის საფუძველზე უფლებამოსილი სასამართლოს (მოსამართლის) მიერ გამოტანილი (არაუგვიანეს 24 საათისა) განკარგულებით. განმეორებით ჩადენილი იგივე ქმედებისათვის დაპატიმრების ვადა – 60 დღე-ღამემდე (მუხლი 212).

პროცესის ჩაშლისაკენ მიმართული ქმედებებისათვის დაპატიმ-

რებული პროცესის მონაწილე პირის სასამართლო სხდომის გადადების ვადა – დაპატიმრების ვადით (მუხლი 212).

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების ან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების ან ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – 14 დღე (აპელაციის წესით) (მუხლები 240; 369).

რეკეტირის, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით მსჯავრდებული პირის მიმართ ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემაზე სარჩელის აღძვრის ვადა – 10 წელი სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან – პროკურორის მიერ (მუხლი 356[2]).

რეკეტული ქონების, ქურდული სამყაროს წევრის, თანამდებობის პირის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიმართ ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის გამოუცხადებელი მხარისათვის გაგზავნის ვადა – 5 დღე გადაწყვეტილების გამოტანიდან (მუხლი 356[6]).

სააპელაციო გასაჩივრებაზე უარის თქმის (წერილობით) შემდეგ, შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა – მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო საჩივრის მისთვის გადაცემიდან 10 დღის განმავლობაში (მუხლი 379).

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) ძალაში შესვლის ვადა – თუ იგი არ გასაჩივრებულა – საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, თუ გასაჩივრებული იყო – საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) არ გაუქმებულა, აგრეთვე, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე (მუხლი 264).

სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას დაშ-

ვებულ ახალ მტკიცებულებზე მოსაზრების წარდგენის დრო – განსაზღვრავს სასამართლო (მუხლი 383).

სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის მოსარჩელისათვის მთლიანად დაბრუნების ვადა – სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შემდეგ (მუხლი 374).

სააპელაციო საჩივარზე მოპასუხისათვის წერილობითი შეპასუხების (შესაგებლის) სასამართლოსათვის წარდგენის ვადა – ნიშნავს სააპელაციო სასამართლო (მუხლი 373).

სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის (საჩივრის გამოხმობის) გამო სასამართლოს მიერ შეწყვეტილი საქმის სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადა – არ დაიშვება (მუხლი 378).

სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესაძლებლობა – სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე (მუხლი 378).

სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესახებ განჩინების ჩაბარების ვადა ინფორმირების გზით – სატელეფონო შეტყობინების განხორციელების დღე (მუხლი 368).

სააპელაციო საჩივრის გამო, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოში საქმის გადაგზავნის ვადა – დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა (მუხლი 371).

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ვადა – 10 დღე სააპელაციო საჩივრის სააპელაციო სასამართლოში შემოსვლიდან (მუხლი 374).

სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად მიჩნევის გამო, საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 374).

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა – 14 დღე მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან (მუხლი 369).

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვისა და მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანის ვადა – საჩივრის წარმოებაში მიღებიდან 30 დღე (მუხლი 356[24]).

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე განჩინების გამოტანის ვადა – შუამდგომლობის მიღების დღიდან არა უგვიანეს 10 დღე. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში განჩინება გამოტანილად ითვლება და სასამართლო ვალდებულია დაინტერესებულ მხარეს დაუყოვნებლივ მისცეს სააღსრულებო ფურცელი (მუხლი 356[21]).

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების ვადა სასამართლოს მიერ – საჩივრის წარმოებაში მიღების დღიდან არა უმეტეს 30 დღე, თუ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი უზრუნველყოფა (მუხლი 356[24]).

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე განჩინების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (მუხლი 356[21]).

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე სააღსრულებო ფურცლის გადაცემის ვადა – განჩინებასთან ერთად (მუხლი 356[21]).

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოქმედების ვადა – სასამართლოს მიერ საჩივრის წარმოებაში მიღებიდან არა უმეტეს 30 დღით. შეჩერების თაობაზა სასამართლო ატყობინებს არბიტრაჟს საქმის განხილვის შეჩერებიდან 3 დღეში (მუხლი 356[24]).

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე გადაწყვეტილების გამოტანის ვადის ათვლა – დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ (მუხლი 356[20]).

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე განჩინების გამოტანის ვადა – კანონმდებლობით გათვალისწინებული განცხადების წარდგენიდან ან მის წარსადგენად განსაზღვრული 7-დღიანი ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 30 დღე (მუხლი 356[21]).

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შუამდგომლობაზე განცხადების წარდგენის ვადა – 7 დღე, მხარის (რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება) მიერ, მისი მიღებიდან (მუხლი 356[21]).

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმების განხილვის შეჩერების ვადა – საჩივრის წარმოებაში მიღებიდან არა უმეტეს 30 დღე (მუხლი 356[24]).

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლის ვადა – დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე (მუხლი 264).

საკასაციო სასამართლოსათვის საკასაციო საჩივრისა და მთლიანად საქმის გადაგზავნის ვადა – დაუყოვნებლივ, საკასაციო საჩივრის შემოსვლის შემდეგ (მუხლი 398).

საკასაციო საჩივარზე მეორე მხარის მიერ წერილობითი პასუხის გაცემის ვადა – ნიშნავს საკასაციო სასამართლო (მუხლი 400).

საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების (ზეპირი მოსმენის გარეშე) ვადა – არაუმეტეს 3 თვე, ხოლო უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეზე – 1 თვე (მუხლი 401).

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ვადის შეჩერების პერიოდი – საკასაციო სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი საკონსულტაციო დასკვნისათვის მიმართვიდან საკონსულტაციო დასკვნის მიღებამდე (მუხლი 402[1]).

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში მიღების ვადა – 10 დღე საკასაციო საჩივრის საკასაციო სასამართლოში შემოსვლიდან (მუხლი 401).

საკასაციო საჩივრის დიდ პალატაში საქმის გადაცემისა და მისი განხილვის თარიღის მხარეებისათვის შეტყობინების ვადა – 3 დღე (მუხლი 403).

საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ საქმის განხილვის დროის მხარეებისათვის შეტყობინების ვადა – 3 დღე (მუხლი 403).

საკასაციო საჩივრის მეორე მხარისათვის გადაგზავნის ვადა –

საჩივრის განსახილველად მიღების შემდეგ (მუხლი 400).

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა – 21 დღე მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან (ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ დაიშვება), ხოლო თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი – გამოცხადების მომენტიდან (მუხლი 397).

სამოქალაქო საქმეებზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა – 6 თვე,ხოლო უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის საქმეზე – 2 თვე (მუხლი 391).

სამოქალაქო საქმეებზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადის შეჩერების პერიოდი – საკასაციო სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი საკონსულტაციო დასკვნისათვის მიმართვიდან საკონსულტაციო დასკვნის მიღებამდე (მუხლი 402[1]).

სამოქალაქო საქმეების სასამართლო განხილვის ვადა – სასამართლოში განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვე. ?ამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ სემთხვევაში მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინების ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღე, განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე ეს ვადა სასამართლოს მიერ შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღემდე (მუხლი 59).

სამოქალაქო საქმეების (განსაკუთრებით რთული კატეგორიის) სასამართლო განხილვის ვადა – სასამართლოში განცხადების განსახილველად მიღების დღიდან 2 თვის გასვლის შემდეგ შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვე (მუხლი 59).

სამოქალაქო საქმეების (ალიმენტის გადახდევინებაზე, დასახიჩრებაზე ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებაზე, მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე, შრომით ურთიერთობებზე, "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი" ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებზე და უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვაზე) სასამართლო განხილვის ვადა – არაუგვიანეს 1 თვე სასამართლო-

ში განცხადების განსახილველად მიღების დღიდან (მუხლი 59).

საპროცესო ვადის აღდგენა საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის – სასამართლოს მიერ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში (მუხლი 65).

საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადების შეტანის დრო – ვადის გასვლის შემდეგ განცხადების შეუტანლობის საპატიო მიზეზის არსებობისას (მუხლი 66).

საპროცესო ვადის გაგრძელება – მხარეთა თხოვნის შემდეგ ან სასამართლოს ინიციატივით (მუხლი 64).

საპროცესო ვადის დენის განახლება – წარმოების განახლების დღიდან (მუხლი 62).

საპროცესო ვადის უკანასკნელი დღის გასვლა – ბოლო დღის 24 საათის შემდეგ (მუხლი 61).

საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა – ზუსტი კალენდარული თარიღით, იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს, ან დროის მონაკვეთით (მუხლი 60).

საპროცესო უფლებამონაცვლეობის შესაძლებლობა – პროცესის ყოველ სტადიაზე (მუხლი 92).

საპროცესო ქმედუნარიანობის ვადა – ფიზიკური პირისთვის 18 წლის ასაკიდან (18 წლამდე ქორწინებიდან); იურიდიული პირისთვის მისი რეგისტრაციის მომენტიდან (მუხლი 81).

სარჩელის გამოხმობილად ჩათვლის ვადა – მოპასუხის თანხმობის შემდეგ (მუხლი 83[1]).

სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოსარჩელისათვის მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტის დაბრუნების ვადა – მთავარი სხდომის დანიშვნამდე (მუხლი 187).

სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 276).

სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის გადაგზავნის ვადა – სარჩელის მიღებიდან 5 დღის გასვლის შემდეგ (მუხლი 446).

სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის ჩაბარების ვადა – მოსამართლისათვის სარჩელის (განცხადების) გადაცემიდან არა უადრეს 5 და არა უგვიანეს 14 დღე (მუხლი 184).

სარჩელის (განცხადების) მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით), მოსარჩელის მიერ განჩინების ჩაბარებიდან. ჩაუბარებლობის შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან მეორე დღე (მუხლები 187; 184).

სარჩელის (განცხადების) მიღების შესახებ განჩინების გამოტანის ვადა – ჩაბარებიდან 5 დღე (მუხლი 445).

სარჩელის (განცხადების) მიღებულად ჩათვლის ვადა – სარჩელის მიღების შესახებ განჩინების გამოტანის დღიდან, თუ ამ ვადაში არ იქნება გამოტანილი განჩინება – ამ ვადის გასვლის შემდეგ (მუხლი 445).

სარჩელის საგნის შეცვლის ვადა – წინასწარი სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების დამთავრებამდე, დამთავრების შემდეგ მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით (მუხლი 83).

სარჩელის საფუძვლის შეცვლის ვადა – წინასწარი სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების დამთავრებამდე, დამთავრების შემდეგ მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით (მუხლი 83).

სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილი განჩინების გასაჩივრების ვადა – 5 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 194).

სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – 5 დღე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მხარისათვის გადაცემის მომენტიდან (მუხლი 197).

სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის მოსარჩე-

ლის მიერ ანაზღაურების უზრუნველყოფის ვადა – 7 დღის ვადაში (მუხლი 199).

სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – 5 დღე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მხარისათვის გადაცემის მომენტიდან (მუხლი 197).

სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – 5 დღე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მხარისათვის გადაცემის მომენტიდან (მუხლი 197).

სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლისა და ყადაღადადებული ქონების გამიჯვნაზე (ნატურით გაყოფაზე) თანხმობის გაცემის საკითხის განხილვის ვადა – 5 დღე განცხადების შეტანიდან (მუხლი 196[1]).

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე განჩინების გამოტანის ვადა – განცხადების შეტანიდან ერთი დღე (მუხლი 193).

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების თაობაზე ხარვეზის შევსების ვადა – ნიშნავს სასამართლო (მუხლი 191).

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში სარჩელის შეტანის ვადა – განჩინების მიღების დღიდან 10 დღის განმავლობაში (მუხლი 192).

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გასაჩივრებული განჩინების ზემდგომ სასამართლოში გაგზავნის ვადა – 5 დღე განჩინების მიღებიდან. საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა – 20 დღე წარმოებაში მიღებიდან (მუხლი 197[1]).

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განჩინების აღსრულების ვადა – დაუყოვნებლივ (მუხლი 195).

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოში განცხადების შეტანის ვადა (გადაუდებელ შემთხვევაში) – სარჩელის აღძვრამდე (მუხლი 192).

სარჩელში მითითებული გარემოებების და მტკიცებულებების შევსების ვადა – წინასწარი სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების დამთავრებამდე (მუხლი 83).

სასამართლო გადაწყვეტილების ასლის გადაცემის ვადა – არა უგვიანეს 3 დღე, ასლის გადაცემის შესახებ განცხადების შემოტანიდან (მუხლი 259).

სასამართლო გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარების ვადა – სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღე. თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას არ ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი – გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30 დღე (მუხლი 259[1]).

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 267[1]).

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან განაწილვადების ვადა – შესაბამისად, 3 თვემდე ან ერთ წლამდე, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით (მუხლი 263).

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან განაწილვადების შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 263).

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საშუალების ან წესის შეცვლის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 263).

სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების შესაძლებლობა – სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ (მუხლი 267).

სასამართლო დავალებებზე მოპასუხის მიერ წერილობითი პასუხის წარდგენის ვადა – მაქსიმუმ 14 დღე, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღე. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევისა (მუხლი 448).

სასამართლო დავალების შესრულების ვადა – ადგენს სასამარ-

თლო გონივრულ საზღვრებში (მუხლი 107).

სასამართლო მანდატურის მიერ დაკავებული სასამართლოში წესრიგის დამრღვევის, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის ან სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შემშლელი პირის სასამართლოს თავმჯდომარისათვის წარდგენის ვადა – დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა (მუხლი 212).

სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმის მედიატორისათვის გადაცემის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – არ საჩივრდება (მუხლი 187[1]).

სასამართლო მედიაციის ვადა – 45 დღე, მაგრამ არანაკლებ 2 შეხვედრისა. მხარეთა შეთანხმებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 45 დღით (მუხლი 187[5]).

სასამართლო მედიაციის საქმეებზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება – სასამართლოს ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით, თუ სასამართლო მედიაციის პროცესის დასრულებიდან 10 დღის ვადაში მოსარჩელე არ წარადგენს სარჩელს საერთო წესების დაცვით (მუხლი 187[9]).

სასამართლო მედიაციისას მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – არ გასაჩივრდება (მუხლი 187[7]).

სასამართლო სხდომის ოქმზე მხარეების და მათი წარმომადგენლების მიერ შენიშვნების წარდგენის ვადა – 3 დღე სხდომის ოქმზე ხელმოწერის შემდეგ (მუხლი 291).

სასამართლო სხდომის ოქმის მიმართ წარდგენილი შენიშვნების განხილვის ვადა – შენიშვნების შეტანიდან 5 დღე (მუხლი 291).

სასამართლო სხდომის ოქმის მიმართ წარდგენილი შენიშვნების უარყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობა – არ დაიშვება (მუხლი 291).

სასამართლო სხდომის ოქმის მომზადებისა და ხელმოწერის ვადა – არა უგვიანეს 3 დღე სხდომის დამთავრების ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ (მუხლი 289).

სასამართლო უწყების მიმღები პირის (არაადრესატის) მიერ ადრესატისათვის უწყების ჩაბარების ვადა – დაუყოვნებლივ (მუხლი 74).

სასამართლო უწყების მხარისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარების დრო – უწყების მათთვის ჩაბარების მომენტი. ჩაბარება ხდება იმ ვარაუდით, რომ მათ ჰქონდეთ სასამართლოში დროულად გამოცხადებისა და საქმის მომზადებისათვის გონივრული ვადა (მუხლი 70).

სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შედეგად სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარებულად ჩათვლის ვადა – მხარის საცხოვრებელ ადგილზე მასობრივად გავრცელებულ გაზეთში გამოქვეყნებიდან ან სასამართლოშენობაში თვასლაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან მე-7 დღე (მუხლი 78).

სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების ან შემცირების გადაწყვეტილების მიღების დრო – მხარის მიერ სასამართლოში მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ უტყუარი მტკიცებულებების წარდგენის შემდეგ. იხ. უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის საქმეზე მოსარჩელისთვის (აგრეთვე, შეგებებული სარჩელის აღმძვრელი მოპასუხისთვის) სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების გადავადების ვადა (მუხლი 48).

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლების განჩინების მიღების ვადა – მოქალაქის მიერ მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინების შედეგად სასამართლო ხარჯებისგადახდის შეუძლებლობის დასაბუთებისს და უტყუარი მტკიცებულებების წარდგენის შემდეგად, მოსამართლის მიერ გამოტანილი მოტივირებული განჩინების შემდეგ (მუხლი 47).

სასამართლოს გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 260).

სასამართლოს ინიციატივით ექსპერტიზის დანიშვნის ვადა – საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე (მუხლი 162).

სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის დღე – სასამართლოს მიერ ინიშნება იმ ვარაუდით, რომ მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მოემზადონ ზეპირი შეჯიბრებისათვის. მთავარი სხდო-

მა საქმის არსებითი განხილვისათვის ინიშნება მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობება მხარეებს (მუხლი 207).

სასამართლოების მიერ არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის მეურვეობის უფლების საკითხის უფლებამოსილების შეზღუდვის ვადა – სასამართლოს მიერ ბავშვის არამართლზომიერი გადაადგილების ან არამართლზომიერი დაკავების შესახებ სარჩელის მიღებიდან ბავშვის დაბრუნების ან მის დაბრუნებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე (მუხლი 351[12]).

სასამართლოს მიერ არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის ჩვეულებრივ საცხოვრებელი ადგილზე სახელმწიფოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტის განმცხადებლისაგან მოთხოვნის ვადა – სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე, თუ ამ დოკუმენტით დასტურდება ბავშვის გადაადგილების ან დაკავების არამართლზომიერება (მუხლი 351[11]).

სასამართლოს მიერ სადავო მტკიცებულებების განხილვისა და შემოწმების ვადა – მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებების შემდეგ (მუხლი 225).

სასამართლოსათვის გამოთხოვილი წერილობითი (ნივთიერი) მტკიცებულებების გადაგზავნის ვადა – სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში (მუხლები 135; 155).

სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის პატიმრობის გამოყენების შესახებ განკარგულების ძალაში შესვლის ვადა – დაუყოვნებლივ. გასაჩივრება შეიძლება განკარგულების ასლის ჩაბარებიდან 48 საათის ვადაში. საჩივარი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე – საჩივრის შეტანიდან 24 საათში (მუხლი 212).

სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის გადიდებისა და შემცირების ვადა – წინასწარი სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების დამთავრებამდე (მუხლი 83).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ამოქმედების თარიღი – 1999 წლის 15 მაისიდან (მუხლი 433).

საქმის ზეპირი განხილვის დღის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინების მხარეებისათვის შეტყობინების ვადა – 3 დღე განჩინების მიღებიდან (მუხლი 376).

საქმის სხვა სასამართლოში გადაცემის შესახებ განჩინების გასაჩივრება – არ საჩივრდება (მუხლი 23).

საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 429).

საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 430).

საქმის წარმოების განახლების შესახებ საფუძვლიანი მოთხოვნის შემთხვევაში სასამართლოს მიერ გაუქმებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 430).

საქმის წარმოების შეჩერების ვადა ექსპერტიზის დანიშვნისას – ექსპერტიზის დამთავრებამდე (მუხლები 280-281).

საქმის წარმოების შეჩერების ვადა, თუ სასამართლოს აზრით, კანონი არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება კონსტიტუციას – საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე (მუხლები 6; 279-281).

საქმის წარმოების შეჩერების ვადა, თუ საქმეს განიხილავს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია ან კომისიის კომიტეტი – კომისიის ან მისი კომიტეტის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე (მუხლები 279; 281).

საქმის წარმოების შეჩერების ვადა, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე – სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების, დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან ადმინისტრაციული წესით განხილულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე (მუხლები 279; 281).

საქმის წარმოების შეჩერების ვადა მოპასუხეზე გამოცხადებული ძებნისას – მოპასუხის მოძებნამდე (მუხლები 280-281).

საქმის წარმოების შეჩერების ვადა მოქალაქის გარდაცვალების (თუ დასაშვებია უფლებამონაცვლეობა), იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტის (რეორგანიზაციის და არა ლიკვიდაციის) – გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა მოსარჩელის გარდაცვალებისას, თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ საქმეში უფლებამონაცვლე არ ჩაერთო, სარჩელი განუხილველად დარჩება. მოპასუხის გარდაცვალების შემთხვევაში მოსარჩელე ვალდებულია ერთწლიანი ვადის გასვლამდე მიუთითოს მოპასუხის უფლებამონაცვლე პირი. მოსარჩელის დასაბუთებული შუამდგომლობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გააგრძელოს ერწლიანი ვადა არა უმეტეს 6 თვით (მუხლები 279; 281).

საქმის წარმოების შეჩერების ვადა მოქალაქის სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნისას ან ავადმყოფობისას (დადასტურებული სამედიცინო დაწესებულების ცნობით) – არა უმეტეს 2 თვე. ამ ვადის გასვლისთანავე მხარე ვალდებულია დანიშნოს წარმომადგენელი, ხოლო სასამართლო უფლებამოსილია განაახლოს საქმის განხილვა (მუხლები 280-281).

საქმის წარმოების შეჩერების ვადა მოქალაქის ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნისას – სამსახურებრივი მივლინებიდან დაბრუნებამდე (მუხლები 280-281).

საქმის წარმოების შეჩერების ვადა მხარდაჭერის მიმღებისათვის (რომელსაც დაუწესდა მხარდაჭერა საპროცესო წარმომადგენლობის განსახორციელებლად) მხარდაჭერის არ მიღების შემთხვევაში – შესაბამისი მხარდაჭერის მიღებამდე (მუხლები 279; 281).

საქმის წარმოების შეჩერების ვადა სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ დავაზე მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში – სასამართლო მედიაციის ვადის დასრულებამდე (მუხლები 279; 281).

საქმის წარმოების შეჩერების ვადა საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილში მოპასუხის ყოფნის ან ასეთივე ნაწილებში მყოფი მოსარჩელის თხოვნისას, მხარის ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში ყოფნის ან რაიმე სახელმწიფო მოვალეობის შესრულებისას – შეირაღებული ძალების შემადგენლობაში მხარის ყოფნამდე, მის მიერ სახელმწიფო მოვალეობის შესრულებამდე (მუხლები 279-281).

საქმის წარმოების შეჩერების შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 282).

საქმის წარმოების შეწყვეტის ვადა მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, არბიტრაჟისთვის დავის გადასაწყვეტად გადაცემის შემთხვევაში – შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე, ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე (მუხლი 272[1]).

საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 274).

საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ ცნობის სასამართლოსთვის წარდგენის ვადა – მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობამდე ან საქმის მორიგებით დამთავრებამდე (მუხლები 208; 218).

სიტყვით გამოსვლის ხანგრძლივობის ვადა სასამართლოში – განსაზღვრავს სასამართლო. განსაკუთრებულ შემთხვევაში მხარეს შეიძლება განესაზღვროს დამატებითი დრო (მუხლი 217).

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებაზე სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანის ვადა – იხ. მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანის ვადა.

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების (ზეპირი მოსმენის გარეშე) ვადა – იხ. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების (ზეპირი მოსმენის გარეშე) ვადა (მუხლი 401).

უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის საქმეზე მოსარჩელისთვის (აგრეთვე, შეგებებული სარჩელის აღმძვრელი მოპასუხისთვის) სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების გადავადების ვადა – საქმის განხილვის დასრულებამდე (მუხლი 48).

უპატრონო ქონებაზე თავიანთი უფლებების შესახებ სასამართლოში განაცხადის შეტანის ვადა იმ პირთა მიერ, რომელთაც პრეტენზია აქვთ ასეთ ქონებაზე – 3 თვე სასამართლოს მიერ ადგილობრივ გაზეთში პუბლიკაციის დღიდან (მუხლი 339).

უფლებამონაცვლეობის დადგენამდე საქმის წარმოების შეჩერების შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 282).

უფლებამონაცვლით შეცვლის ან ასეთ შეცვლაზე უარის თქმის სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 92).

ფაქტის აღიარების გაქარწყლების (უარყოფის) ვადა – სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე (მუხლი 133).

ფაქტის აღიარების (ზეპირი ან წერილობითი ფორმით) შესაძლებლობა – საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების ან სასამართლო სხდომაზე განხილვისას (მუხლი 132).

ქორწინების საქმეებიდან გამომდინარე სხვა საქმეების ცალკე გამოყოფის შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა – 12 დღე (კერძო საჩივრით) (მუხლი 356).

ყადაღადადებული ქონების გამიჯვნაზე თანხმობის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა – 5 დღე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მხარისათვის გადაცემის მომენტიდან (მუხლი 197).

შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა – 10 დღე სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან (მუხლი 379).

შეგებებული საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადა – 10 დღე საკასაციო საჩივრის გადაცემიდან (მუხლი 405).

შვილად აყვანის ნამდვილობად ჩათვლა – სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან (მუხლი 351).

შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსათვის სარეგისტრაციოდ გადაგზავნის ვადა – 5 დღე გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან (მუხლი 351).

შუამდგომლობის აღძვრის ვადა – საქმის მომზადების სტადიაზე (მუხლი 158).

ცოცხალ დონორობაზე თანხმობის გაცემასთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – 10 დღე მხარისათვის დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარებიდან (მუხლი 316[6]).

წარმომადგენლის უფლება თავის უფლებამოსილებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოსათვის მიმართვის ვადა – საქმის წარმოების ყველა სტადიაზე (მუხლი 100).

წერილობითი მტკიცებულებების სასამართლოსათვის წარდგენის ვადა – ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში. ამ ვადის საპატიო მიზეზით დარღვევის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია პირებს განუსაზღვროს დამატებითი ვადა (მუხლი 136).

წერილობითი (ნივთიერი) მტკიცებულების გამოთხოვაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრების ვადა – ცალკე არ საჩივრდება (მუხლები 134; 154).

წლებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დამთავრება – ვადის უკანასკნელი წლის შესაბამის თვესა და რიცხვში (მუხლი 61).

წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენის დაწყება – იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი (მუხლი 60).

წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა – 1 თვე (აპელაციის წესით); აგრეთვე, კასაციის წესით –სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (მუხლი 246).

ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის შესაძლებლობა სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების შემთხვევაში – არ წყდება (მუხლი 277).

ხარვეზის შევსების ვადა სააპელაციო საჩივარზე – ნიშნავს სასამართლო, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული – საჩივარი აღარ მიიღება. აღნიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს, მხოლოდ მხარეთა თხოვნის საფუძველზე (მუხლი 368).

ხარვეზის შევსების ვადა საკასაციო საჩივარზე – ნიშნავს სასა-

მართლო, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული – საჩივარი განუხილველი რჩება (მუხლი 396).

ხარვეზის შესახებ განჩინების ჩაბარების ვადა ინფორმირების გზით – სატელეფონო შეტყობინების განხორციელების დღე (მუხლი 447).

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

	სამოქალაქო კოდექსის მიხედვით	სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით
ა	3	30
ბ	4	32
გ	5	33
დ	7	34
ე	8	37
ვ	8	–
ზ	–	38
თ	9	38
ი	9	39
კ	10	39
ლ	11	40
მ	12	40
ნ	17	43
ო	–	43
პ	18	43
რ	19	45
ს	19	45
ტ	22	–
უ	23	59
ფ	24	60
ქ	25	60
ყ	–	60
შ	26	60
ჩ	27	–
ც	28	61
წ	28	61
ხ	28	61

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 299-04-18

www.supremecourt.ge